

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute

მარტი
2022



ელექტოენერჯის ბაზრის მიმოხილვა



ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი ენერჯეტიკისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

აკონტაქტი:

მარიამ ნულუკიძე
უფროსის მოადგილე

✉ m.tsulukidze@iset.ge

გურამ ლობჯანიძე
მკვლევარი

✉ guram.lobzhanidze@iset.ge

ერეკლე შუბითიძე
მკვლევარი

✉ erekle.shubitidze@iset.ge

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- 2023 წლის მარტი ელექტროენერჯის გამომუშავება წლიურად 5%-ით შემცირდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი 3%-ით გაიზარდა.
- ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 17%-ით, ხოლო თვიური მაჩვენებელი - 1%-ით შემცირდა.
- მოხმარებამ გამომუშავებას 97 მლნ კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც 2023 წლის მარტის თვის სრული წარმოების 10% და მოხმარების 9%-ია.
- მარტში განხორციელდა 146 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი.
- მარტში ექსპორტი არ განხორციელებულა.
- 2023 წლის მარტში საქართველოს მთავარი საიმპორტო პარტნიორი რუსეთი იყო. რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერჯის 97% აფხაზეთში წავიდა.
- იმპორტის ფასი 0.12 ცენტი, ან 0.31 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- 2023 წლის მარტში საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ბაზრის HHI ინდექსი კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ჩამოსცდა და ინდექსის მნიშვნელობა 1,241-ს გაუტოლდა.
- საქართველოს ელექტროენერჯის მოხმარების ბაზრის HHI მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ დარჩა. 2023 წლის მარტში ინდექსის მნიშვნელობამ 2,184 შეადგინა.

შემოკლებები

მლნ	მილიონი
კვტსთ	კილოვატსაათი
ჰესი	ჰიდროელექტროსადგური
თესი	თბოელექტროსადგური
HHI	ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი
თელმიკო	თბილისის ელექტრომიწოდებელი კომპანია
ეპ ჯორჯია	ეპ ჯორჯია მიწოდებისთვის
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
ესკო	ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი


წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2023 წლის მარტში საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 1,019 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია გამოიმუშავა (დიაგრამა 1). აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 5%-იან კლებას წარმოადგენს (2022 წლის მარტში სრული წარმოება 1,077 მილიონი კილოვატსაათი იყო). წარმოების წლიური კლება თბოელექტროსადგურების (-58%) და ქარის ელექტროსადგურების (-2%) გამომუშავების კლებამ განაპირობა, მაშინ როცა ჰიდროელექტროსადგურების (+41%) გამომუშავება გაიზარდა.

თვიურ ჭრილში, წარმოება, დაახლოებით, 3%-ით გაიზარდა (2023 წლის თებერვალში სრული წარმოება 987 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა) (დიაგრამა 1). წარმოების თვიდან თვემდე ზრდა ჰიდროელექტროსადგურების (+137%) და ქარის ელექტროსადგურების (+20%) ზრდამ გამოიწვია, მაშინ როცა თბოელექტროსადგურების (-68%) გამომუშავება შემცირდა.

ელექტროენერჯის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 1,117 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა (17%-ით ნაკლები 2022 წლის მარტთან შედარებით და 1%-ით ნაკლები 2023 წლის თებერვალთან შედარებით) (დიაგრამა 1). 2023 წლის მარტში ენერჯის მოხმარებამ წარმოებას 97 მილიონი კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 10%-სა და სრული მოხმარების 9%-ს შეადგენდა (2022 წლის მარტში წარმოებასა და მოხმარებას შორის დეფიციტმა 273 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, რაც თვის განმავლობაში სრული წარმოების დაახლოებით 25%-ს და სრული მოხმარების 20%-ს გაუტოლდა).


დიაგრამა 1 - ელექტროენერჯის მოხმარება და გამომუშავება



წყარო: ესკო

წარმოების უდიდესი წილი ჰიდროელექტროსადგურებზე (ჰესი) მოდის. 2023 წლის მარტში ჰესების მიერ ელექტროენერჯის წარმოება 804 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა (სრული წარმოების 79%), თბოელექტროსადგურების (თესი) წარმოება 208 მილიონ კილოვატსაათს (სრული წარმოების 20%), ხოლო ქარის ენერჯის წარმოება 7 მილიონ კილოვატსაათს (სრული წარმოების 1%) (დიაგრამა 2).


დიაგრამა 2 - ელექტროენერჯის გამომუშავება წყაროების მიხედვით



წყარო: ესკო

ჰიდროელექტროსადგურებს შორის მსხვილმა (მარეგულირებელმა) ჰესებმა ელექტროენერჯის 23% გამოიმუშავა (185 მილიონი კილოვატსაათი), ხოლო სეზონურმა და მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებმა, შესაბამისად, 64% (516 მილიონი კილოვატსაათი) და 13% (104 მილიონ კილოვატსაათი) (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3 - ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავება ტიპის მიხედვით




წყარო: ესკო

ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა | გამომუშავება, მოხმარება, ვაჭრობა

თბოელექტროსადგურებს რაც შეეხება, გარდაბანი 1-მა გამოიმუშავა 149 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია (თბოელექტროსადგურების გამომუშავების 72% და ჯამური გამომუშავების 15%), გარდაბანი 2-მა გამოიმუშავა 44 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 21% და ჯამური გამომუშავების 4%), მტკვრის თბოელექტროსადგურმა 8 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია გამოიმუშავა (თბოელექტროსადგურების 4% და ჯამური გამომუშავების 1%). თბოელექტროსადგურების გამომუშავების დარჩენილი 3% გამოიმუშავა აირტურბინამ (ჯამური გამომუშავების 1%) (დიაგრამა 4).


დიაგრამა 4 - დიდი თბოელექტროსადგურების წილი მთლიან გამომუშავებაში



წყარო: ესკო

რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებიდან (ჰესი) წარმოებულ ენერჯიას, ვარდნილჰესმა 28 მილიონი კილოვატსაათი ენერჯია გამოიმუშავა (მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ენერჯიის 15% და სრული წარმოების 3%). ენგურჰესმა 85 მილიონი კილოვატსაათი გამოიმუშავა, რაც მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერჯიის 46%-ს და სრული წარმოების 8%-ს შეადგენს (დიაგრამა 5).


დიაგრამა 5 - ენგურისა და ვარდნილის წილი სრულ გამომუშავებაში



წყარო: ესკო

საერთო ჯამში, სრული გამომუშავება 2022 წლის მარტთან შედარებით 5%-ით გაიზარდა (დიაგრამა 6).

დიაგრამა 6 - გამომუშავების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ესკო

ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯია¹ (33% – 365 მილიონი კილოვატსაათი), აფხაზეთი (23% – 252 მილიონი კილოვატსაათი), თელასი/თელმიკო² (23% – 258 მილიონი კილოვატსაათი) და პირდაპირი მოხმარებლები (22% – 240 მილიონი კილოვატსაათი) (დიაგრამა 7). მოთხოვნა თელასი/თელმიკოსგან, ენერგო-პრო ჯორჯიასგან, აფხაზეთისგან და პირდაპირი მოხმარებლებისგან შემცირდა, შესაბამისად, 8%-ით, 6%-ით, 23%-ით და 31%-ით 2022 წლის მარტთან შედარებით. საერთო ჯამში, 2023 წლის მარტში ელექტროენერჯის მოხმარებამ წლიურად 17%-ით ნაკლები შეადგინა 2022 წლის მარტის მოხმარებასთან შედარებით (დიაგრამა 8).

¹ ენერგო-პრო ჯორჯიამ 2017 წლის სექტემბერში კახეთი ენერჯი დისტრიბუშენი შეიძინა.


² 2021 წლის ივლისიდან, ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მოდელის შემოღების შემდეგ, განაწილებისა და საბოლოო მიწოდების ფუნქციები გაიმიჯნა. შედეგად, მივიღეთ სამი ტიპის მოთამაშე ბაზარზე: განაწილების ლიცენზიანტები - განაწილებაზე და განაწილებისას არსებულ დანაკარგზე პასუხისმგებლები; უნივერსალური სერვისის მიმწოდებლები - საყოფაცხოვრებო სექტორისა და მცირე კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები; და საჯარო სერვისის მიმწოდებლები - საშუალო და მსხვილი კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები. ამჟამად ენერგო-პრო ჯორჯია და თელასი ანაწილებენ ელექტროენერჯიას, ხოლო ეპ ჯორჯია და თელმიკო მათ გამოეყვნენ და ორივე გახდა უნივერსალური და საჯარო სერვისის მიმწოდებელი.

დიაგრამა 7 - ელექტროენერჯის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო

დიაგრამა 8 - ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ესკო

2023 წლის მარტში საქართველომ 146 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განახორციელა (მაშინ, როცა 2022 წლის მარტში 331 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განხორციელდა) (დიაგრამა 9). იმპორტის თითქმის 100% რუსეთიდან შემოვიდა (რომლის 97% აფხაზეთში გავიდა), ხოლო დარჩენილი ნაწილი - აზერბაიჯანიდან (2022 წლის მარტში იმპორტის 98% შემოვიდა რუსეთიდან, ხოლო დარჩენილი ნაწილი - აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან). 2023 წლის მარტში საქართველოდან ექსპორტი არ გასულა (2022 წლის მარტში უმნიშვნელო რაოდენობის ექსპორტი განხორციელდა რუსეთში) (დიაგრამა 10). 2023 წლის მარტში განხორციელდა 381 მილიონი კილოვატსაათის

ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთში და 63 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი სომხეთიდან თურქეთში (2022 წლის მარტში განხორციელდა 92 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი რუსეთიდან თურქეთში და 31 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი სომხეთიდან თურქეთში).


2023 წლის მარტში იმპორტი 56%-ით შემცირდა 2022 წლის მარტთან შედარებით, ხოლო ექსპორტი 100%-ით შემცირდა.

დიაგრამა 9 - იმპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო


დიაგრამა 10 - ექსპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო


2023 წლის მარტში იმპორტი 30%-ით შემცირდა 2023 წლის თებერვალთან შედარებით (დიაგრამა 11). 2023 წლის მარტში ექსპორტი 0-ის ტოლი იყო (დიაგრამა 12).

დიაგრამა 11 - იმპორტი თვეების მიხედვით



წყარო: ესკო

დიაგრამა 12 - ექსპორტი თვეების მიხედვით




წყარო: ესკო

1. საბაზრო ოპერაციები

2023 წლის თებერვალში, ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული ელექტროენერჯის 81% პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით გაიყიდა. დარჩენილი 19% კი – საბალანსო ელექტროენერჯის სახით (დიაგრამა 13).


დიაგრამა 13 – შესყიდულ/გაყიდულ ელექტროენერჯიაში პირდაპირი კონტრაქტებისა და საბალანსო ელექტროენერჯის წილი



წყარო: ესკო

2023 წლის მარტში, საბალანსო ელექტროენერჯის შეწონილი საშუალო ფასი იყო 13.9 თეთრი კილოვატსაათზე, რაც წლიური კლების 24%-ს შეესაბამება 2022 წლის მარტთან შედარებით. რაც შეეხება საშუალო შეწონილ ფასს დერეგულირებული (მცირე სიმძლავრის) ჰესებისთვის, ის 11.7 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე, რაც 2022 წლის მარტის მონაცემზე 13%-ით ნაკლებია (დიაგრამა 14).


დიაგრამა 14 – საბალანსო ელექტროენერჯის ფასების შეწონილი საშუალო და დერეგულირებული ჰესების ფასის შეწონილი საშუალო



წყარო: ესკო

2023 წლის მარტში, გარანტირებული სიმძლავრის ჯამური ხარჯი, დაახლოებით 15.97 მილიონი ლარი იყო, რაც 2022 წლის მარტის მონაცემზე 5%-ით ნაკლებია (დიაგრამა 15).


დიაგრამა 15 - გარანტირებული სიმძლავრის ხარჯი



წყარო: ესკო

2023 წლის მარტში ელექტროენერჯის იმპორტის ფასი 0.12 ცენტი, ან 0.31 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 95%-იან, ხოლო ლარში 96%-იან კლებას (2022 წლის მარტში ფასები 2.50 ცენტი, ან 8.09 თეთრი იყო კილოვატსაათზე). 2023 წლის თებერვალთან მიმართებით იმპორტის ფასი 20%-ით შემცირდა დოლარში და 21%-ით ლარში (ფასები იყო 0.15 ცენტი, ან 0.40 თეთრი). 2023 წლის მარტში ელექტროენერჯის ექსპორტი არ განხორციელებულა, ამიტომ დინამიკას თვიურ და წლიურ ჭრილში ვერ შევაფასებთ.


დიაგრამა 16 - იმპორტისა და ექსპორტის ფასები



წყარო: ესკო

2023 წლის მარტში ელექტროენერჯის იმპორტის ფასი რუსეთიდან 0.11 ცენტს, ან 0.28 თეთრს, ხოლო აზერბაიჯანიდან 1.80 ცენტს, ან 4.66 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე (დიაგრამა 17).


დიაგრამა 17 - იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



წყარო: ესკო/საქსტატი

2023 წლის მარტში ელექტროენერჯის ექსპორტი არ განხორციელებულა (დიაგრამა 18).

დიაგრამა 18 - ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით




წყარო: ესკო/საქსტატი

2. ბაზრის კონცენტრაცია


დაბოლოს, ვიყენებთ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერჯის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. 2023 წლის მარტში, საქართველოს ელექტროენერჯის გამომუშავების ბაზარი კონცენტრირებული ზღვარს ჩამოსცდა და HHI ინდექსი 1,241 ერთეულს გაუტოლდა სეზონური ჰესების გამომუშავების მნიშვნელოვანი ზრდის გამო (დიაგრამა 19). აღნიშნული კი 2022 წლის მარტის მონაცემზე (HHI 1,626 ერთეული) და 2023 წლის თებერვლის მაჩვენებელზე (HHI 2,316 ერთეული) დაბალია. რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, 2023 წლის მარტში HHI მოხმარების ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე დაბლა შენარჩუნდა და მაჩვენებელი 2,184 ერთეულს გაუტოლდა (2022 წლის მარტის მაჩვენებელზე (1,929) მაღალი და 2023 წლის თებერვლის მაჩვენებელზე (2,259) დაბალი). რეალურად, 2020 წლის სექტემბერი ბოლო თვე იყო, როდესაც ინდექსის ნიშნული მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე მაღალი იყო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბაზარზე კონკურენცია იზრდება. (დიაგრამა 20).

დიაგრამა 19 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის გამომუშავებისთვის



წყარო: ესკო

დიაგრამა 20 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის მოხმარებისთვის



წყარო: ესკო